სახალხო გაზეთი

№ 543 ოთხშაბათი, 7 მარტი, 1912 წ. № 543

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი პატარა წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

!სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** **გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ქ. ოზურგეთში, 5 მარტს, გარდაიცვალა

ირაკლი ხუტუას ძე აბაშიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **მინიკა გიორგის ასული, შვილი ნესტორ ირაკლის ძე, რძალი ნინო კონსტანტინეს ასული, ძმისწულები გრიგოლ, დიმიტრი** და **ტარასი გიორგის ძენი აბაშიძეები, მელენტი აბაშიძისა, სიმონ ივლიანეს ძე** და **ოლინკა გურჩმანიძეები** და **თევდორე ბეჟანის ძე** და **სონა გიორგის ასული ბერიძეები.** დაკრძალვა დანიშნულია ქალაქ ოზურგეთში, ხუთშაბათს, 8 მარტს ექადიის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (1.282.1)

სოხუმში, 5 მარტს, გარდაიცვალა ტფილისის მეორე ქალთა გიმნაზიის მოწაფე

ლიზა დიმიტრის ასული ლოლაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **გულდამწვარი დედა ბარბარე, მისი ასულნი** და **ბიძა გიორგი მამაცაშვილი.** განსვენებულის სულის მოსახსენებლად დღეს, 7 მარტს, შუადღის 12 საათზე, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი. (1.283.1)

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 7 მარტს,

სინემატოგრაფი

ს. ი. ივანიცკაიასი

რადგანაც პროგრამა ვრცელია, **დასაწყისი სწორედ საღამოს 8 ს.**

სინემატოგრაფის შემდეგ **იაფი ლოტო.** (2.1119.2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—286)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 8 მარტს,

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

გამცემი,

დრამა 4 მოქ. **ი. გედევანიშვილისა.**

მონაწილეობას ღებულობენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, ლეჟავა, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: არადელი, ჟვიძე, მატარაძე, მგალობლიშვილი და ციციშვილი. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი. მზადდება: რუსთაველი. (2.1146.1)

ქართული თეატრი

10 მარტს ქართულ თეატრში გაიმართება **სალიტერატურო საღამო,** შემდეგის პროგრამით:

I

მ. წულუკიძე. წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სკულპტურა და მხატვრობა დასავლეთ ქვეყნებში“.

II

ივანე გომართელი წაიკითხავს მოთხრობას. **ახოსპირელი**—ლექსს. **გ. დიასამიძე**—მოთხრობას. **გიორგ. ამირეჯიბი**—მოთხრობას, **კ. ჯაფარიძე**—ლექსი პროზათ,

III

ა. წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ახალგაზდა პოეტი **ნოე ჩხიკვაძე**“ ქუჩიშვილი ლექსი. ს. აბაშელი ლექსი. ბებიაშვილი ლექსი. ირეთელი წაიკითხავს ამ საღამოსთვის საგანგებოდ დაწერილ სატირას.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

გამგე ბ. ბეგლარაძე. (5—1142—2)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** **ახალ პატრონთა ხელში გადასული**

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდი „ლოც ს“. საჭმელებს სახლებშიაც ვგზავნით თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—1132.6)

ქ. შ. წ. კ. გ. უმთავრეს საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახლად გამოსული წიგნები:

ბაგრატის ტაძარი, გიორგაძისა ტფ. 1911 წ.	ფ. 20	კაპ.
ქართული წყობილსიტყვაობა მისივე ტფ. 1912 წ.	„ 30	„
მოხსენება პროფ. ცაგარლისა, ქუთ. 1911 წ.	„ 15	„
ქართველი ერის ტრაგედია (გიორგი სააკაძე და მისი დრო) ს. ქვარიანი. ქუთაისი 1912 წ.	„ 40	„
შოთა ბროლიძე, მალაქიაშვილისა, ტფ. 1912 წ.	„ 80	„
სოლომონ მეჯღანუაშვილი, არდაზიანისა, ტფ. 1911 წ.	„ 50	„
თამარიანი, გუგუნავასი. ტფ. 1911 წ.	„ 50	„
ფუტკარი და მეფუტკრეობა. ტფ. 1911 წ.	„ 80	„
ჟამნი, ხუცური, მღ. ლამბაშიძის გამოცემა ყდით	„ 40	„
ორი პიესა, ტრ. რამიშვილისა ტფ. 1912	„ 25	„
ორი მეგობარი, ლ. ხმალაძის ნათარგმნი ქუთ. 1911 წ.	„ 10	„
ბავშვობა და სიყრმე, მოთხ. ტოლსტოისა, ტფ. 1912 წ.	„ 60	„
ქართველთა ეროვნება, პრ. მარრისა	„ 10	„
Кавказъ и памятники духовной культуры პრ. მარრი, პეტერბ. 1912 წ.	„ 20	„
Іерусалимскій Канонирь VII в. Кэкэлидзе	„ 2	მან.
ერი თუ კაცობრიობა?! ა. ჩხენკელისა, ტფ. 1912 წ.	„ 30	კაპ.
ანტიური ქვეყანა, კ. კაუტსკი, ტფ. 1911 წ.	„ 1	მან.
ნ. ჟორდანია, რჩ. ნაწერები, ტფ. 1911 წ.	„ 2	„
ქალთეთერი და სირინოზი, ი. ევდოშვილისა, ტფ. 1912 წ.	„ 10	კაპ.

(წ.—1141—3)

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა

წინამძღოლი

სთხოვს ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობას **მობრძანდნენ** მიმდინარე წლის 11 მარტს, შუადღის 12 საათზე

სოფ. შულავერში

თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ სამაზრო კრებაზე. იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც აქვთ საარჩევნო ცენზი და თავად-აზნაურობის საქმეებში მონამშილეობის მიმნიჭებელი ცენზი, კეთილ ინებონ და საამისო საბუთები წარწოგვიდგინონ. (2.1144.1)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

◆ **შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა** ◆ გამოცემას. წიგნი სივრცით. 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადდგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—11)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

გრდემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.25)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვების, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—170)

სავაჭრო სახლი

ლ. და მ. მეტცლი და ამხ.

განცხადებათა ცენტრალური განყოფილება

(1878 წ. დაარსებული)

მოსკოვში

ვარშავაში, პეტერბურგში, ვილნოში, ბერლინში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბოსტონში, ბუფალოში.

ამით აცხადებს

რომ მთელ ქვეყნის გამოცემებისთვის

ხელის-მოსაწერად და განცხადებებისთვის გახსნა თავის კანტორის განყოფილება

ქალაქ ლოძში.

პეტროვის ქ., 102. (10—130—6)

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 252)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.105)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ. 1090 289)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 93)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 121)

ექიმი დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტუმალაძე**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—16)

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე, ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—110).

ექიმი ქ. ქუთაისი. **იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.— 129—9).

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 საღამოს 5--7. (25.1045.62).

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილების პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—41)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—14)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი --7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—51.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„პეტერბურგსკია ვედომოსტებში“ დაბეჭდილია საგულისხმო წერილი:

„რუსი მღვდლები როგორ ათქმევინებენ აღსარებას არა რუსთ (ინოროდცებს).

(სინოდის საგულისხმოდ)

სოფელ დამპალოდან (გორის მაზრა) გვწერენ: აქ რუსმა ეგზარხოსმა გაამწესა რუსი მღვდელი, რომელმაც ქართველ მრევლს თარჯიმანის პირით გამოუცხადა: აღსარებას რუსულად გათქმევინებთ, ხოლო რომელმა ქართველმაც რუსული არ იცის, თავისი ცოდოები ქართულად აღიარონ, ვინაიდან „ღმერთმა ყველა ენა იცისო“. **ნ. დურნოვო.**

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

როძიანკო თავმჯდომარეობდა.

როძიანკომ წაიკითხა იტალიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის სამადლობელი დეპეშა იმ დეპეშის გამო, რომელიც სათათბირომ გაუგზავნა მეფის სიკვდილის გადარჩენის გამო. დეპეშა ტაშის ცემით მოისმინეს.

საბოლოო სიტყვა ხარჯთ-აღრიცხვის გამო წარმოსთქვა **ალექსეენკომ.** ზოგიერთმა მოლაპარაკემ მოინდომა, სთქვა ალექსეენკომ, საერთო ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გამოერკვია, რამდენს იხდის სახელმწიფოს ესა თუ ის ნაწილი და ერთმანეთისათვის შეედარებიანო. ამის გაგება საზოგადო ციფრების მიხედვით შეუძლებელია. რაც შეეხება კერძო რკინის გზათა საკითხს, ამის შესაფერი კანონპროექტი უკვე შეადგინეს კომისიებმა და ჩქარა განსახილველად წარმოადგენენო. შემდეგ მოლაპარაკე შეეხო საბიუჯეტო კომისიის მოქმედებას და აღნიშნა, იგი პირნათლად ასრულებდა მოვალეობასო.

ალექსეენკოს სამართლიანად მიაჩნია საყვედური: 1909 წლის დამლევს საზარალო სესხი აიღეთო. მაგრამ ფინანსთა მინისტრმა დაარწმუნა სათათბირო, უეჭველად საჭიროა ამ წლის დამლევს სესხებაო. საბიუჯეტო კომისიამ წინადადება მისცა მთავრობას გადარჩენილი ფული დახარჯა საკულტურო საქმისათვის. საბიუჯეტო კომისიამ სიამოვნებით მოისმინა და მოისმენს ყოველგვარ სამართლიან კრიტიკასა. ღმერთმა ჰქმნას შემდეგ სათათბიროში უფრო ღირსეული, მცოდნენი ყოფილიყვნენ და საბიუჯეტო კომისიისათვის გამოსადეგნი (ხანგრძლივი ტაშისცემა ასტყდა). კენჭის ყრის გამო ილაპარაკა.

პეტროვი მე-3. მან „შრომის ჯგუფელთა" სახელით განაცხადა, როგორც ყოველთვის, ეხლაც ბიუჯეტის წინააღმდეგნი ვიქნებით და ამით მთავრობის საზოგადო პოლიტიკას ვგმობთო. გადასწყვიტეს ხარჯთ-აღრიცხვის ცალკე სმეტების განხილვა წინააღმდეგ „შრომის ჯგუფელთა" და სოციალ-დემოკრატთა. თავმჯდომარემ გამოაცხადა, კრედიტისა, სასახლის სამინისტროსი, სახელმწიფო საბჭოსი, სახელმწიფო კანცელარიისა, ათ მილიონიან ფონდის და სხვა საკითხების განხილვის უფლება არა აქვს სათათბიროსაო.

გოდნევის წინადადებით მიიღეს 2,782810 მან. სმეტა. მანვე წარუდგინა სათათბიროს მინისტრთა საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა—202,357 მანეთი. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია საბჭომ მოჰკიდოს ხელი საკითხის განხილვას, თუ რათ იხოცება და ავადმყოფობს აუარებელი ხალხი რუსეთის იმპერიაში. სმეტა მიიღეს.

კოვალევსკიმ მოახსენა სინოდისათვის გადასადებ ფულის--40,129,979 მან. ხარჯთაღრიცხვა. კომისია ძალიან დიდის სიფრთხილით მოეპყრა ამ საკითხს და ნელა მიიწევდა წინა. 1911 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ბევრს რასმე დაგვპირდნენ, მაგრამ შემოტანილი პროექტები უკან წაიღეს და ახალი კი არ შემოუტანიათ. ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთს უნდა ვენდობოდეს. სათათბიროს დაუთესია, მაგრამ ღვარძლი რომ უშლის? (ცენტრელები ტაშს უკრავენ).

სინოდის ობერ-პროკურორმა განაცხადა, ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით საერთო მუშაობისადმი მოწოდებას, მაგრამ კარგად ახსოვს ძირითად კანონების 56 მუხლი, რომელიც სახელმწიფოსა და საეკლესიო ფარგალს განსაზღვრავს. ტყუილად ჰგონია მომხსენებელს, ვითომც უწყების მოქმედება მთლად შეჩერებულიყოს: შარშან, მაგალითად, ყველა ეპარქიაში დაარსეს სარევიზო კომიტეტები, რომელთაც კანტროლის საქმე ჩაჰბარდა. სასულიერო კონსისტორიის შტატის შეცვლის კანონპროექტი უკან წავიღეთ, რადგანაც განზრახვა გვაქვს ამ უწყების მთლად შეცვლა. უწყებას სრულიად არ ეშინიან წინსვლისა. იგი ყოველთვის ჰზრუნავს რუსეთის სამღვდელოებისათვის. სამღვდელოების უზრუნველსაყოფად მარტო ხაზინა არა კმარა, საჭიროა მრევლმაც მიიღოს მონაწილეობა. მრევლის შესახებ კანონპროექტს ხელი მოუწერა სინოდის ყველა წევრმა და მინისტრთა საბჭოში წარადგენენო.

ლვოვი მე-2. ძალიან ცუდადაა ეკლესიის საქმე. ობერ-პროკურორმა დაარღვია წესი და სადოგმატიკო საკითხებს შეეხო და ერთ-ერთ იერარქთან უთანხმოება მოუვიდა. ობერ-პროკურორმა გერმოგენს უსაყვედურა კორესპონდენტებთან ლაპარაკი და თვით კი ელაპარაკებოდა მათ და რასპუტინს აქებდა. სიმართლე უნდა ვსთქვათ: ორივე დამნაშავეა. თუ ერთი ჰგმობდა, მეორე იცავდა. ბევრი ნაკლი აქვს მართლმადიდებელთა ეკლესიას და ამ ნაკლის აცილება მხოლოდ სამღვდელოების კრებას შეუძლიან.

პურიშკევიჩმა თავის სახელით ილაპარაკა და აღნიშნა, ეკლესიის საქმეებში ყველაფერი რიგზე ვერ არისო. ამ ბოლოს დროებში მთავრობა სცდილობს სახელმწიფო დაწესებულების სახელის გატეხას; დასავლეთის ერობის გამო სახელი გაუტეხეს სახელმწიფო საბჭოს. იუსტიციის მინისტრმა სენატი დასცა, ობერ-პროკურორმა—სინოდი. რუსეთი იმისთანავე საშიშ მდგომარეობაშია ეხლა, როგორც ამ სამასი წლის წინად იყო. ობერ-პროკურორმა სინოდს დამოუკიდებლობა დაუკარგა. მთავრობა ტყუილად სცდილობს დაგვარწმუნოს, ყველაფერი რიგზეაო. რუსეთი რევოლუციონერებს არ დაუზარალებია იმდენად, რამდენადაც წრეულს ეკლესიაში მომხდარმა ამბებმა დააზარალა. მემარცხენეებმა ობერ-პროკურორს საბლერს ძეგლი უნდა დაუდგან: მან რუსეთის ორგანიზმში გათახსირება შეიტანა. ბოლოს მოლაპარაკემ საბლერს მიმართა: თავი დაანებეთ პატივმოყვარეობას და ვით მეფის ერთგულმა, მიდით მოსანანიებლად და უთხარით: მაპატიეთ, მაპატიეთო (ტაში).

საზონოვს საქმის გამოსაბრუნებლად საჭიროდ მიაჩნია სამღვდელოების კრების მოწვევა.

მილიუკოვმა ერთ საათს ილაპარაკა. განიხილა ეკლესიის მდგომარეობა 1905—1906 წლიდან ჩვენ დრომდე. მაშინ გამოსცეს ბრძანება ყველა სარწმუნოების თავისუფლების თაობაზე და შემდეგ კი მისიონერთა,—ეს სამღვდელოების კრების კონტრ-კრება,-მოიწვიეს. კრებამ ეკლესიის ცხოვრება უკან დააბრუნა და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რანაირშიაც ეხლაა. 1908 წ. ეკლესია მთავრობის იარაღად გადაიქცა და რეაქციის დამქაში შეიქმნა. მერე საქმე სადამდე მივიდა. გაჩნდნენ ისეთი ბერები, რომელნიც უმაღლეს დაწესებულებას არ ემორჩილებიან და გავლენა აქვთ ისეთ პირებს, როგორიც გრიგოლ რასპუტინია. ამ დღეებში ქვეყანას აუწყეს, საეკლესიო კრებას ახლო ხანში მოვიწვევთო, მაგრამ ამანაც ვერავინ ანუგეშა. აქამდე არ შეუმუშავებიათ სამრევლო რეფორმის კანონ-პროექტი, არ გამოურკვევიათ სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობა. ეხლა პატრიარქობის აღდგენა ისეთ სახეს იღებს, რომ კლერიკალიზმისა უნდა გვეფიქრებოდეს. რასაკვირველია, შეიძლება საეკლესიო დაძველებულ წესების გამოსარჩლება, მაგრამ უნდა ესეც ახსოვდეთ: შეიძლება ისტორიის ტალღამ წალეკოს ისინი.

შემდეგი სხდომა მოხდა 6 მარტს.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

სხდომის შეწყვეტამდის დაასრულეს სათემო სასამართლოს პროექტის განხილვა და ყველა მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს. ამის შემდეგ საბჭო სამოსამართლო დაწესებულებათა დებულების შეცვლის პროექტის განხილვას იწყებს. კამათს იწვევს მეათე მუხლი, რომელიც არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს აწესებს. ამ მუხლის წინააღმდეგია **დეიტრი** და **ანდრეევსკი**: უმჯობესია მომრიგებელი მოსამართლენი მთავრობის მიერ ინიშნებოდეს, რადგან მოსამართლეთა წრეში არჩევნების წესით კულტურულად დაბლა მდგომი დემოკრატიული ელემენტი შეერევაო.

სხდომის დასაწყისში წაიკითხეს იტალიის მეფისა და სენატის თავმჯდომარის დეპეშები საბჭოს მიერ გაგზავნილ მისასალმებელ დეპეშის საპასუხოდ.

სხდომის განახლებისას **იუსტიციის მინისტრი** იცავს პროექტის მეათე მუხლს და დეიტრის შესწორების წინააღმდეგ ილაშქრებს. მინისტრი სხვათა შორის ამბობს: განსაკუთრებით საჭიროა, რომ მოსამართლეებს შესწავლილი ჰქონდეს ადგილობრივი ცხოვრება: მხოლოდ მაშინ დამყარდება მოსამართლეთა და ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის თანხმობა და რწმენა ურთიერთისადმიო. მინისტრი სთხოვს საბჭოს განუხორციელებელ მოვალეობას ნუ დააკისრებთ მთავრობასო.

სემენოვი — ტიანშინსკი, სუვოროვი, ერმოლაევი და ტაგანცევი ამ მუხლის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

საბჭომ **დეიტრის** შესწორება უარჰყო.

საბჭომ მიიღო **პიხნოს** შესწორება რომელთაც დასავლეთის გუბერნიებში არჩეულ მოსამართლეთა მაგიერ მთავრობისაგან დანიშნულ მოსამართლეთა ინსტიტუტი უნდა იქმნეს შემოღებული.

შემდეგ მიიღეს ყველა მუხლები 17-დის. უარჰყვეს ის მუხლები, რომელნიც აწესებდნენ, რომ მოსამართლეთა კრება ასახელებს კანდიდატებს კრების თავმჯდომარის და სიას იუსტიციის მინისტრს ურდგენს.

შემდეგი კრება 7 მარტს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ნებადართული პიესა.** ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის ენებზე ოსურად წარმოადგინონ ავქცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ", თარგმანი პ. თედეევისა.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს** დღეს 5 საქმე აქვს განსახილველი.

✦ **საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი** არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად.

✦ **ქალაქის საფსიხიატრო საავადმყოფოს** შენობის აგების თაობაზე ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა მოხსენება შეადგინა. საავადმყოფოში 120 საწოლი იქნება.

✦ **საჩივრები ტრამვაის დირექციაზე.** დასახიჩრებისა და ზარალის მიყენებისთვის სხვა და სხვა პირს მრავალი სამოქალაქო საჩივარი აღძრული აქვს დირექციაზე. ამ საჩივრების დაკმაყოფილებას 2,500,000 მანეთამდე დასჭირდება.

✦ **ვაჭართა მამასახლისად** კვლავ ა. ნ. მილოვი აირჩიეს.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც მკითხველებმა იციან, ვაჭართა საზოგადოებამ კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ 25,000 მან. გადასდო. ამ ფულის შეგროვებას ვაჭართა შორის ამ დღეებში შეუდგებიან.

✦ 5 მარტს ვიღაც უცნობებმა დაბეჭდილ ტელეგრამების სახით ტფილისში ფრიად ამაღელვებელი ხმები გაავრცელეს. ფურცლებს სათაურად ეწერა „ომი" და ხალხი ქუჩებზე დიდის გაფაციცებით ყიდულობდა, მაგრამ პოლიციამ ფურცლების გაყიდვა [illegible] ფურცლებში გადმობეჭდილი იყო წერილები სხვა და სხვა [illegible] კამსარ ოჰანესას. ძე აკოპიანი 100 მან. დააჯარიმეს. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთს თვეს დააპატიმრებენ.

✦ **ბანძელთა დეპუტაცია.** სამის დღის წინად სენაკის მაზრის სოფელ ბანძიდან ტფილისში დეპუტაცია ჩამოვიდა და ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორ ვატაცისა და სამოსამართლო პალატის უფროსს თავჯდომარეს სთხოვა, რათა სამომრიგებლო სასამართლო ნოღალევიდან ბანძაში იქმნას გადატანილი, თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებისა.

✦ **შადინოვის შეწირულების გამო.** ქალაქის გამგეობას საბჭოში განსახილველად შეაქვს საკითხი იმის თაობაზე, რომელ ბანკში შეინახოს 50,000 მან., რომელიც პ. ი. შადინოვმა კავკასიის უნივერსიტეტს შესწირა. საქმე ის არის, რომ შემწირველის სურვილით ფული სახელმწიფო ბანკში უნდა შენახულიყო უნივერსიტეტის შენობის დაწყებამდე, მაგრამ ეს ბანკი არავითარს სარგებელს არ იძლევა ერთის წლით შეტანილ ფულში. ფული ამ ჟამად ინახება ვოლგა-კამის ბანკში, რომელიც 5% იძლევა წლიურად.

✦ **ალავერდის ეპისკოპოსის დავითის წასვლა.** ექსარხოსის კანცელარია ამით აცნობებს ყველას, ვისაც რაიმე საქმე აქვს ყოვლად სამღვდელო დავით, ალავერდის ეპისკოპოსთან, რომ ყოვლად სამღვდელო გაემგზავრა შუამთის მონასტერში საკუთარ სურვილისამებრ და როგორც მის მიერ ექსარხოსისადმი მოწერილ წერილიდან სჩანს, წასულია ჯანმრთელობის აღსადგენად სოფლის მყუდროებაში, მთის ჰაერზე. („კავკაზ").

✦ 6 მარტს, ღამის 5 საათზე, ვერაზე რევოლვერით ზურგში დასჭრეს ქუთაისის მაზრის მცხოვრები **ამბაკო ექვთიმეს ძე უგულავა,** რომელსაც იჯარით აქვს აღებული ბექთაბეგოვის ბაღი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიშია. ეჭვით ამ საქმის გამო შეიპყრეს მიხეილ ფოილაძე და ალექსანდრე კაპანაძე.

✦ ქალაქის **საბჭოს საფინანსო** კომისიის წევრთა რიცხვს ქალაქის

მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

„მესამოციანნი"

ნაწილი მეორე *)

(„დროება" 1866—1876 წ., „მნათობი" 1869—1872 და „კრებული" 1871—1873 წ.)

III

1870 წლიდან „დროება" სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდის. მისი უმთავრესი თანამშრომლებია ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), აკაკი წერეთელი და გიორგი წერეთელი. ამავე ხანაში 1868 წლიდან გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდის „სასოფლო გაზეთი". 1869 წელს არსდება ჟურნალი „მნათობი" ნ. ავალიშვილის რედაქტორობით. „ცისკარი"-ც განაგრძობს თავის საქმეს. ხოლო—1881 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორობით „კრებული", რომელსაც 1873 წელს ჟურნალის ხასიათი მიეცა. ერთი სიტყვით, არა-ჩვეულებრივი სიმრავლეა ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა. ეს იყო საუკეთესო ხანა მესამოციანების მოღვაწეობისა. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჯერხნობით ჩვენში კულტურული ნიადაგი იმდენად მომზადებული არ იყო, რომ ამოდენა ორგანოების შენახვა ადვილი საქმე ყოფილიყო. ყველა ორგანოების ხელის-მომწერთა რიცხვი რომ შევაერთოთ, იგი ვერ ავა დღევანდელი რომელიმე ქართულ გაზეთის ხელის-მომწერთა რიცხვის ნახევრამდეც. მძიმე ტვირთად აწვებოდათ რედაქტორ-გამომცემლებს ქართულ გამოცემის საქმე. და იმთავითვე ქართულ პრესაში სამსახური და შრომა ინტელიგენციისათვის მსხვერპლად შეიქმნა. მაგრამ როდესაც გულში ცეცხლი ღვივის და ფიქრი მუდამ აღფრთოვანებულია, მსხვერპლის ატანა ადვილია. და სანამ ეს ცეცხლი და ეს აღფრთოვანება იყო, ჩვენი პრესაც არა-ჩვეულებრივად გაიფურჩქნა და აყვავდა.

სერგეი მესხის დროიდან „დროება"-ს მეტი ტეხნიკური გაუმჯობესებაც ეტყობა. როდესაც პირველად დაარსდა გაზეთი (1866 წ.) ყველა მწერლებს და კორესპონდენტებს ისე აეშალათ წერის საღერღელი, ისე ბევრი რამ ჰქონდათ ყველას სათქმელი, რომ მოკლე, საგაზეთო წერილების წერას ვერავინ ახერხებდა. ერთი და იგივე კორესპონდენცია ხშირად ორ სრულ ნომერს იჭერდა. ამგვარადვე იწერებოდნენ მეთაური წერილები. ახლა კი თითქოს შეეჩვივნენ, აღვირი დაადვეს ლაპარაკის უსაზღვრო წყურვილს. და ამითი გაზეთმა ბევრი რამ მოიგო. სხვა და სხვა განყოფილებათა რიცხვმა იმატა და აჭია-ბაჭია, წყალ-წყალა წერილების ბეჭდვასაც ერიდებოდნენ. იმ ხანებში ევროპაში დიდი ამბები ხდებოდა: საფრანგეთ-გერმანიის ომი, პარიზში კომუნის გამოცხადება. ყველა ამის შესახებ ვრცელი და კარგად მოფიქრებული წერილები იბეჭდებოდა ნ. სკანდელის მიერ, რომელიც წინად დიდხანს სცხოვრობდა საზღვარ-გარედ და კარგად იყო გაცნობილი იქაურ პოლიტიკურ ვითარებასთან. მისი წერილები მშვენიერი პოლიტიკური სკოლა იყო ახლად გამოფხიზლებულ და ჯერ კიდევ ნორჩ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებისათვის. მაგრამ, როგორცა ვსთქვით, მძიმე ტვირთი იყო იმ ხანებში ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემა. „დროებაში" ვპოულობთ ამის შესახებ რამდენიმე ფაქტიურ ცნობას. „მნათობის" ხელის მომწერლებს „თითქმის მესამედს მუქთად მისდიოდათ, თუმცა ფასი კი უნდა მიეცათ... „დროების" 330 ხელის მომწერლებთაგანში 189 არ მოუციათ დანიშნული ფასი ჯერ დღევანდლამდინაც 76 პირს. მაშასადამე, „დროებას" 2,310 მანეთის მაგიერ მიუღია მხოლოდ 1,708 მან. და დანარჩენი 602 მან. ირიცხება ხელის მომწერლებზე. მაგრამ 1870-ში ჩვენ ვხედავთ უფრო გასაოცებელ საქმეს. ამ უკანასკნელს წელს, არა თუ ნახევარს ხელის მომწერლებთაგან არ მიუციათ ჯეროვანი ფასი, იკლო აგრეთვე ხელის მომწერლების რიცხვმაც. ასე, მაგალითად, 1870 წელში გამოდიოდა 243 ეგზემპლიარი ამათ სრულად რომ მიეცათ დანიშნული ფასი, მაინც კიდევ შესდგებოდა იმდენი, რაც 1868 წ. მიიღო „დროების" რედაქციამ. მაგრამ 243 პირის მაგიერ მისცა მხოლოდ 122 პირმა, მაშასადამე, სწორედ ნახევარმა... (№ 3, 1871).

ეს ფრიად სამწუხარო ამბავია. მაგრამ რომ ჩაუფიქრდეთ თითქოს აღარ გეუცხოებათ იგი. როდესაც „ცისკარი" დაარსდა, მისი ავან-ჩავანი და შემნახველი თავად-აზნაურობა იყო. ჩვენებური დიდი გვარის შვილები აგრეთვე მთავრობაც უწევდნენ მას დახმარებას. მაშინ ჯერ კიდევ ქართველ ინტელიგენციის ფიზიონომია გამოსახული არ იყო. ამ ინტელიგენციის გამოსახვა იწყება 1861 წლიდან. 1863 წელს უკვე გარკვეულად მოსჩანს ახალი კულტურულ-საზოგადოებრივი ჯგუფის სახე. აქედამ იწყება დიფერენციაცია თავად-აზნაურობისა, როგორც წოდებრივ ერთეულსა და ინტელიგენციისა, როგორც წოდებათა შუა მდგარ კულტურულ ძალისა. მართალია, ამ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურულ ელემენტისაგან შესდგება. ამ გარემოებას თავისი ცუდი და კარგი მხარე ჰქონდა, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ინტელიგენცია უკვე აღარ არის თავად-აზნაურობა, არც თავისი მოქმედებით, არც თავისი მისწრაფებით. მესამოციანებში და მესამოცდაათიანებში ეს ნათლად და გარკვეულად სჩანს. შემდეგში თავად-აზნაურობის და ინტელიგენციის ურთიერთობა ცოტათი იცვლება. ინტელიგენცია თითქოს განიცდის გავლენას თავად-აზნაურობისას. მაგრამ ამ ურთიერთობის ევოლუციას ბოლომდე რომ ჩავყვეთ, დავინახავთ, რომ დღეს, მაგალითად, საბოლოოდ მოხდა გათიშვა დემოკრატიულ ინტელიგენციისა და წოდებრივ თავად-აზნაურობისა. ასე რომ ინტელიგენცია და თავად-აზნაურობა სხვა და სხვა მოვლენათა კატეგორიებია. და თუ ეს ასეა, ადვილად წარმოსადგენია, რომ მესამოციანების ქართული პრესა, რომელმაც დასძლია პრინციპი წოდებრივობისა და მოიწადინა დემოკრატულ ნიადაგზე დგომა, აუცილებლივ დაჰკარგავდა თავად-აზნაურობის თანაგრძნობას. და ეს ასედაც იყო. „ცისკრის" მკითხველნი მას უნდობლობით და მტრულად ეკიდებოდნენ. სამაგიეროდ ამ პრესას ახალი მკითხველი გაუჩნდა. ეს მკითხველი იყო ნორჩი ქართველი ინტელიგენცია, ახალგაზრდობა და შეგირდები სხვა და სხვა სასწავლებლებისა (უმეტესად სემინარიელები). ეს თითქმის უსახსრო ნაწილი იყო ჩვენის საზოგადოებისა. და აბა რანაირად შეეძლო ამ ნორჩ და ღარიბ ინტელიგენციას ოთხი და ხუთი ორგანოს შენახვა. და ამიტომაც თანდა თან ეცლებოდა სიცოცხლეს ხან ერთი გაზეთი, ხან — მეორე. რა იყო საჭირო საქმის გამობრუნებისათვის? ერთად-ერთი—ხალხში კითხვის სურვილის გაღვიძება და სახალხო სკოლის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება. მხოლოდ ამგვარი რამ გაზეთი დიდ მკითხველ საზოგადოებას და ინტელიგენციის რაზმებსაც გაამაგრებდა. უნდა ვსთქვათ, რომ ამ დიდ საქმესაც იმ ხანში ჩაეყარა საფუძველი და ამ საქმის წინამძღოლი და ინციატორი იყო იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა 1867 წელს „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი". შემდეგ წელში „ბუნების კარი". პრესა დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ წიგნებს. ხალხის წინაშე მოვალეობის მოხდაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. და აი ესეც იყო ამგვარი მოვალეობის ასრულება. ჟურნალ „მნათობის" მიმოხილველი, ვინმე თორელი ამბობს: „ჩვენ გაგვივსია შკაფები სხვა და სხვა......... დაწერილ წიგნებით და ხალხი კი მოკლებულია ანბანსაც. კარგი თანაგრძნობა, ძმობა გვქონია... დარწმუნებული ვარ და იქნება დარწმუნებული იყვნენ მკითხველები, რომ უფ. გოგებაშვილმა თავის „ანბანით" და „ბუნების კარით" უფრო დიდი სარგებლობა მოუტანა ყმაწვილებს და ახალ მოსწავლეებს, ვიდრე ჩვენმა ლიტერატორებმა თავიანთი დაფუძნებულ წრფელი სჯით, („მნათობი" 1869, მაისი და ივნისი). ხალხს იმ დროს არა ჰქონდა საკითხავი წიგნი. „ბეჟანიანი", „ქალვაჟიანი", „ბარამიანი"—ეს თხზულებანი უფრო შეძლებულთა ოჯახებში ხელნაწერებად ინახებოდნენ. ხალხისთვის გამოიცა იმ ხანებში რამდენიმე სიმღერა „გამო მზეო", „თვალებო, თვალებო", რამდენიმე ნიმუში სახალხო ეპოსისა „ეთერიანი" (მოთხრობა აბესალომ და ეთერისა), „არსენა" და სხვ. ამგვარი. ესეც კარგი იყო. და ვინც წერა-კითხვა იცოდა, ამ წიგნებსაც ძალიან ეტანებოდნენ. მაგრამ ყოველივე ეს არამც თუ ვერ აკმაყოფილებდა ახალ დროის მოთხოვნილებას, ახლოსაც ვერ უდგებოდა მას. საჭირო იყო სისტემატიური, რეგულიარული და საფუძვლიანი გაწვრთნა ხალხის გონებისა სკოლის საშუალებით. სწორედ ამ სატკივარს დაადო მალამო იაკობ გოგებაშვილმა. და დღეს თუ ჩვენებურ დაბა-სოფლებში „დედა-ენას" 30,000 მკითხველი ჰყავს, შეგვიძლიან დანამდვილებით ვსთქვათ, რომ სწორედ ამ რაზმიდან ივსება თანდათან ქართულ გამოცემათა მკითხველთა რიცხვი და ამ რაზმიდან გამოდის ის ელემენტი, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი და რომლის სააშპარეზოდ გამოსვლა სამუდამოდ მისცა ქართველ ინტელიგენციას მტკიცე ხასიათი დემოკრატიულ ინტელიგენციისა.

დაუბრუნდეთ ისევ „დროებას". აქ კვლავ განაგრძობენ იმ პრინციპების განმარტებას, რომელნიც იყვნენ წამოყენებულნი პირველ წლების გაზეთში. ეკონომიურ ფარგალში, როგორც ვიცით, თავი და თავი საკითხი ასოციაცია და არტელია. ახლა გაზეთი ცდილობს პრაქტიკული განხორციელების გზა მოუნახოს ამ პრინციპებს. ხოლო როდესაც იგი უბრუნდება იმ თეორიულ პრობლემას, რუს-ნაროდნიკულ მოძრაობის მიერ ამ წამოყენებულს—მიწის საერთო მფლობელობას, აქ, ამ საკითხის განმარტება—გარკვევაში დიდ ენერგიას და უნარს ველარ იჩენს. მაგრამ არის ერთი საყურადღებო წერილი, რომლის აღნიშვნა ფრიად საჭიროა ჩვენი საქმისათვის. „ჩვენი სიღარიბის მიზეზი", წერილი გრ. თარხან-მოურავისა. ავტორი ამბობს: „თუ მაგალითად, საზოგადოება იმგვარად დაყოფილია, რომ პირველი ელემენტი გამდიდრებისა —მიწა და მისი კუთვნილი ნივთნი ეკუთვნიან ერთ ნაწილს და შრომა კი მეორეს, მაშინ, ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ამ ორს ნაწილს შუა ამოჩნდება ბრძოლა, რომლის შედეგი უნდა იყვეს სიღარიბე საზოგადოების მომეტებული ნაწილისა „(№ 7, 1870) ..... აღნიშნავს რა ავტორი შრომის და კაპიტალის (მიწის) ერთმანეთისაგან გათიშვას, ამბობს: „საზოგადოებისთვის საკმარისი არ არის შექმნა კაპიტალისა, თუ კი ეს უკანასკნელი არ აღასრულებს თავის დანიშნულებას. გარდა ამისა, ყოვლად საჭიროა არსებობა შრომისა და კაპიტალის გონივრულად განაწილებისა... შრომა და კაპიტალი შეერთებულნი უნდა იყვნენ, ე. ი. უნდა სჩანდეს მათ შორის კავშირი, თანაშემწეობა". (ilid). როგორც ხედავთ, აქ უკვე ელემენტებია სოციალიზმისა. ვამბობთ, ელემენტები და არა თვით სოციალიზმი, რადგან შრომის და კაპიტალის ორგანიზაციაში კაპიტალის სოციალიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიმდიდრის მოხმარების სოციალიზაციას; ურომლოდაც წარმოუდგენელია სოციალიზმი. უნდა ვსთქვათ, რომ საუბედუროდ, სავსებით არ ვიცით ავტორის აზრი ამ საგნის შესახებ, რადგან მის წერილიდან 5 და 6 თავები სრულიად ამოღებულია ცენზორის მიერ. ასე თუ ისე, მიწის და მიწაზე მომუშავე ხალხის დაკავშირების აზრი კი ნათლად სჩანს აღნიშნულ წერილში. ვკითხულობთ: „მიწის პატრონი იყვეს მუშა და მუშა-მიწის პატრონი" (№ 8, 1870). რა გზით შეიძლება ამისი განხორციელება? „საჭიროა ამბობს ავტორი, ჩვენი კეთილდღეობისთვის ურთიერთის თანაშემწეობა მშრომლებისა და მიწის პატრონებისა". (ibiq) აქაც ავტორი შორდება სოციალისტურ პრინციპებს. და ეს უფრო ნათლადა სჩანს, როდესაც იგი პრაქტიკულად აყენებს საკითხს: „რადგანაც ყოველი საქმის დასაწყობლად საჭიროა რომელიმე საშუალება, რომელსაც შეუძლიან აასრულოს ჩვენი განზრახვა, ამის გამო უნდა მოვძებნოთ ამგვარი საშუალება. ეს საშუალება არის—ასოციაცია, ამხანაგობა". (idid). აი სწორედ ამაზედ დგას „დროება" და სოციალიზმს იშვიათად ღა უბრუნდება. გაკვრით კი კომუნიზმს „უტო-

საბჭომ კიდევ ხუთი წევრი მოუმატა, ხოლო საიურიდიოს—ერთი.

✦ **ა. ს. აფრიამოვს,** რომელმაც ხმოსნობას თავი დაანება და კვლავ ქალაქ-ს თვითმმართველობაში ბუჰგალტრად იქმნა მიღებული, ქალაქის საბჭომ ჯამაგირი მოუმატა. ეძლეოდა 1200 მან., ახლა დაუნიშნა—1500 მან.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 5 მარტს „ვოსტოკ“-ის ნომრებში თავი მოიწამლა მარიამ ბურკოვსკაიამ (26 წლისა). მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **საქართველოს ექსარხოსმა ნება არ დართო ბაქოს ქართველთა საზოგადოებას,** ხელის მოწერით ფული შეაგროვოს ბაქოში ეკლესიის ასაშენებლად.

✦ **ფარულად საქონლის დაკვლისათვის** გუშინ 8 ყასაბს შეუდგინეს ოქმი ქალაქის მეორე უბანში.

✦ პოლიციის შესანახ ხარჯისა ქალაქის თვითმმართველობას ამ ჟამად 54,000 მ. ჰმართებს ხაზინისა. ქალაქის გამგეობამ ხუთასი თუმანი შეიტანა ხაზინაში და ამას გარდა დაადგინა, ყოველ თვე ხუთას-ხუთასი თუმანი შეიტანოს ხოლმე.

✦ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის შენობის გაფართოვების თაობაზე 8 მარტს კრება ექნება ქალაქის სასკოლო კომისიას მცოდნე პირთა მონაწილეობით.

✦ 5 მარტს ოლგას ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა დაახლოვებით სამის კვირისა. ამავ დღეს, ყორღანოვის ქუჩაზეც იპოვეს მდედრობითის სქესის ბავშვი, დაახლოვებით ორის კვირისა ბავშვები ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 5 მარტს მოხდა. საბჭომ დაადგინა: 1) განასაჩივროს დადგენილება ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსი, რომელმაც 1912 წ. ხარჯთაღრიცხვიდან ამოშალა სავაჭრო დეპუტაციის ხარჯად შეტანილი 1,337 მან. 2) დაამტკიცოს გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა პირისთვის სატრაქტირო გადასახადის პატიების ძესახებ, 3) უყურადღებოდ დასტოვოს საჩივარი სადეზინფექციო კამერის მოსამსახურის ივანე ლობკოსი, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა და რომელსაც ეს დათხოვნა უკანონოდ მიაჩნდა, 4) გადასდოს სხვა დროისთვის საკითხი გადასახადის შეწერისა ფრანგთა საზოგადოების ავტომობილებზე და 5) განსახილველად გადაეცეს ქალაქის გამგეობას საკითხი ცეცხლის მქრობელ რაზმის შესახებ.

✦ **სომხურ სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება დღეს, საღამოს 7½ საათზე მოხდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მოსმენილ იქმნება აიანასიანისა და ქალანთარის მოხსენებანი.

სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** განჯასა, ბაქოსა, პეტროვსკისა, კავკავისა და პიატიგორსკისაგენ გაემგზავრა საქმეების გასარჩევად.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორს გაემგზავრა.

✦ **გაზეთ „ბაკუ“-ს რედაქტორის ქრის. ვერმიშევის** საქმე ტფ. სამოსამართლო პალატამ 5 მარტს გაარჩია. სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით. პალატამ ვერმიშევი დამნაშავედ იცნო და ღირსების აყრა და გადასახლება მიუსაჯა.

ქუთაისი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ, ბევრ კერძო პირებსა და საზოგადოებებს შემდეგი შინაარსის ბარათი დაუგზავნა: „ვინ არ იცის, რომ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება არის ჩვენთვის უპირველესი და უძვირფასესი განმანათლებელი ეროვნული დაწესებულება. მისი მიზანი იმდენად სიმპატიურია, რომ იგი ერთგვარად სათაყვანებელი უნდა იყოს ყველა ქართველისათვის; ამიტომაც თითეული ჩვენგანი, ვისაც ცოტაოდენი საშუალება მაინც მოეპოვება, უსათუოდ ამ საზოგადოების წევრად უნდა ითვლებოდეს და მის ასაღორძინებლად ყოველწლიურად თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს. სხვა ქვეყნებში, სადაც ჩვენზე უფრო განათლებული ერები ცხოვრებენ, ამ გვარ დაწესებულების წევრებად ითვლებიან ყველანი—უბრალო მუშიდან დაწყებული ვიდრე მილიონების პატრონამდე; ამიტომ მათ საზოგადოებას დიდი შემოსავალი აქვს და ფრიად სასარგებლო საქმეებსაც აკეთებენ. ჩვენში კი მიუხედავად ამ დაწესებულების ასეთ დიდ მნიშვნელობისა, ჩვენდა სამწუხაროდ, ხსენებულ საზოგადოების წევრებად არა თუ შეუძლებელი ხალხი, არამედ შეძლებულთა უმეტესი ნაწილიც არ ითვლება. დღეს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში ამ საზოგადოების განყოფილებები დაარსდა იმ მიზნით, რომ ამით ყველას საშუალება მიეცეს—დაუახლოვდენ ამ განმანათლებელ დაწესებულებას და ხელი შეუწყონ მის აღორძინებასა და გაძლიერებას. ქუთაისის განყოფილება უმორჩილესად გთხოვს ყველას—ჩაეწეროთ აღნიშნულ დაწესებულების წევრად და თქვენი წვლილის შემოტანით ხელი შეუწყოთ ხალხის განათლების დიდ საქმესო“.

წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პრემია „გრდემლი“ პროვინციის წლიურ ხელის მომწერლებმა უნდა მოიკითხონ:

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.
გორში—საურთიერთო ნდობის ბანკში, ე. ხუციშვილთან.
ბათომში—ქალაქის საავადმყოფოში, ირ. ავალიშვილთან.
სამტრედიაში—ქ. შ. წ. კ. საზ. განყოფილების კიოსკში, კალაძესთან.
თელავში—ქ. შ. წ. კ. საზ. განყოფილებაში, ივ. პაატაშვილთან.
სოხუმში—ნიკო ჯანაშიასთან.
ჭიათურაში—საურთ. ნდ. ბანკში სოფრონ ტარუაშვილთან.

დანარჩენი წლიური ხელის მომწერნი რომელთაც 30 კ. არ წარმოუდგენიათ „**გრდემლი**“ უნდა მოიკითხონ გაზეთის კანტორაში. ტფილისში. პრემია „გრდემლი“ არ გაგვიგზანია იმათთვის ვისაც გასაგზანი ხარჯი არ გამოუგზავნია. ამიტომ ვთხოვთ ვისაც არ მიუღია ან წაიღოს თითონ რედაქციიდან, ან გასაგზანი ხარჯი (30 კ., შეიძლება მარკებით) გამოგზანონ.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ხონელთა საყურადღებოდ

ამას წინად ხონიდან დეპეშით მივიღეთ ოთხი თუმანი ფული. რადგანაც ფოსტის კანტორამ შეგვატყობინა, რომ ფული ხონიდან არის და ვისგან კი არ იციან და ჩვენც დღევანდლამდე არავითარი წერილი ამ ფულის შესახებ არავისაგან არ მიგვიღია, ვთხოვთ გამომგზანს შეგვატყობინოს, რა დანიშნულება აქვს ამ ფულს, ვისგან არის და როდის არის გამოგზანილი?

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

✦ სამიწად-მომქმედო სამინისტროს გადაუწყვეტია კავკას-აში **შინამრეწველობა გამოიკვლიოს** ამ დარგის პრაქტიკულად დახმარებისათვის. ამ ხანად თითო გუბერნიაში თითო მაზრას იკვლევენ სანიმუშოთ. ქუთაისის გუბერნიაში გამოსაკვლევად ქუთაისის მაზრა ჩაურიცხავთ და აქ სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად მეურნე იოსებ ქუთათელაძე დაუნიშნავთ. ისიც ჰკრებს სოფლის მამასახლისსა და მწერლებს, აბარებს მათ შინამრეწველობის გამოსაკვლევ ფურცლებს და უხსნის მათ—როგორ უნდა ჩაიწეროს პასუხი იქ ჩამოთვლილ კითხვებზე. საჭიროა ამ საქმეში მათ სოფლის მასწავლებლებიც დაეხმარნენ და აუხსნან ხალხს, რომ ამ დაწყებულებას სამეცნიერო ხასიათი აქვს. ამ საქმის მოსაწყობად ი. ქუთათელაძემ შემოიარა ხონის რაიონი და ტყიბულის და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მიუბრუნდება სოფლებს და შეკრებს ამ ცნობებს.

✦ როგორც ს. დიდი-ჯიხაიშიდან გვწერენ, იქ დანიშნულია წლიური კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის 11 მარტს. ამხანაგობას ჰქონია საწევრო ფული 32,340 მ. 48 კ., შარშან წმინდა მოგება ჰქონია 414 მან. 9 კ.

✦ 18 მარტს დ. ხონში სავაჟო პროგიმნაზიის შენობაში დანიშნულია **ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება.** საზოგადოებას შარშან საერთო შემოსავალი ჰქონია 18028 მ. 72 კ., წმინდა მოგება 2234 მ. 5 კ. („ცნობ.“).

ქუთაისის პირველ სამოქალაქო სასწავლებლის „ძირისუფალს“ ბ. ა. ვარდოსანიძეს.

როგორც ამას წინად ვაუწყე „სახალხო გაზეთი“-ს მკითხველებს (№ 518) ქუთაისიდან, წყალ-გაღმა ნაწილში, პეტრე-პავლეს ეკლესიის მრევლმა შეიძინა საჭირო ადგილი ალექსანდროვის ქუჩის ბოლოზე, ძველი ბანაკის ქუჩის თავში, სამოქალაქო სასწავლებლისათვის. ამ საქმისათვის არჩეულმა კომისიამ უკვე დაუმტკიცა სამოსწავლო მთავრობას ხსენებული ადგილი. ბ. ქ. ვარდოსანიძე კი „კოლხიდის“ მე-43 ნომერში მწარედ დასტირის ამ სამოქალაქო სასწავლებლის ბედ-იღბალს და აცხადებს, რომ, რადგანაც ქავჭავაძის და მესხეთის ქუჩების მცხოვრებლებმა (სასაფლაოს ეკლესიის მრევლი) არ ისურვეს მონაწილეობის მიღება ადგილის შეძენაში პეტრე-პავლეს ეკლესიის მრევლთან, ამიტომ, მისი ფიქრით, სასწავლებლის საქმე დაღუპულია, ხელიდან წასულია და სამოსწავლო მთავრობაც მოტყუილებულია; ამასთანავე ბ-ნი ვარდოსანიძე სასწავლებლის ინსპექტორს სტ. გაგუას და სამღთო სჯულის მასწავლებელს მღვდელს ალ. შანიძეს ბრალსა სდებს, რომ მათ ჯერ ვითომ ქავჭავაძის და მესხეთის ქუჩის მცხოვრებლები ჩააბეს საქმეში, ადგილი მოაძებნიეს და შემდეგ, როდესაც მზრუნველი მობრძანდა ქუთაისში და მათი გამორჩეული ადგილი დაათვალიერა, სასწორი გადახარეს, ამათ უღალატეს და ალექსანდროვის და ძველი ბანაკის ქუჩებში, ღარიბ უბანში მზრუნველს მეორე ადგილი უჩვენეს და უფრო მოაწონესო; ერთი სიტყვით-დასძენს ბ. ვარდოსანიძე,—გაგუამ და შანიძემ **„გაგვყიდეს თხებივითო“** და სხვა.

როგორც ამ უბანში მცხოვრები და აგრეთვე ადგილის შემძენი კომისიის წევრი, საჭიროდ ვთვლი ვუპასუხო ქ. ვარდოსანიძეს, სასწავლებლის ვითომდ თანამგრძნობელ „ძირისუფალს“-შემდეგი: სასწავლებლის ინსპექტორმა ს. გაგუამ, სამოსწავლო მთავრობის მონდობილობით, წინადადება მისცა, ადგილის გამოძებნის შესახებ. როგორც ქავჭავაძის, ისე მესხეთის, ძველი ბანკის, ორპირის და ხონის ქუჩების მცხოვრებთაც, რადგან ეს სასწავლებელი ეკუთვნის არა მარტო ერთ რომელიმე ქუჩას, არამედ მთლად წყალ გაღმა ნაწილს ს. გაგუას და ა. შანიძეს არ ჰქონდათ არავითარი იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება ამის შემდეგ არ ეჩვენებიათ მზრუნველისათვის ყველა არჩეული ადგილები. იმათ რომ არ მოეხსენებინათ მზრუნველისათვის, ნუ თუ ჩვენ, აქეთური მცხოვრებლები, მუნჯები ვიყავით?!.

მესხეთის ქუჩის გასათავებელში თქვენ მიერ არჩეული ს. გოგავას ადგილი თითქმის ქალაქის განაპირას მდებარეობს, „ღულაძისეულ“ მოედნიდან ქვევით ერთი ვერსის დაშორებით და ისიც არა გზის პირას, არამედ შესახვევში. რა გასაკვირველია, თუ მისი პატრონი გიგავა რამოდენიმე საჟენს უფასოდ უთმობდა?! არა თუ რამოდენიმე საჟენს, სოფ. მესხეთში [illegible] სასწავლებელი, [illegible] მიწას უფასოდ დაუთმობდეს, მაშინ ჩვენ სასწავლებელს დაერქმეოდა არა **ქუთაისის** სამოქალაქო სასწავლებელი, არამედ **მესხეთის** სასწავლებელი და ქუთათურებისათვის გამოუსადეგარი იქნებოდა. ძველ ბანაკის უბანში თუ ხალხი ღარიბია, იმიტომ უფრო საჭიროა იქ გაიხსნას ასეთი კულტურული დაწესებულება, რათა როგორც გონებრივად, ისე ეკონომიურადაც ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. რაც შეეხება საშუალო ადგილს, რომ გამოვზომოთ თქვენი კუთხიდან, სახელდობრ ბორნიდან, თქვენზე უფრო ახლო დარჩება ახლად შეძენილი ადგილი, ვიდრე ოლასკურის, ქვიტირის და ხონის ქუჩების მცხოვრებლებზე. ერთი სიტყვით, წყალ-გაღმა ნაწილში მცხოვრებთათვის „ღულაძისეულ“ მოედანს შემდეგ, ჩვენ მიერ შეძენილი ადგილი ნამდვილ საშუალო ადგილად ჩაითვლება და ამიტომ უფრო მოიწონა ოლქის მზრუნველმაც, სტ. გაგუა და მღვდელი ა. შანიძე აქ რა შუაშია; არც არავის მიუცია მათთვის საჩუქარი, როგორც თქვენ ფიქრობთ. ზემოხსენებულ გარემოებათა გამო თქვენი „გოდება“ დათან ბოდიში თქვენი ამომრჩევლებით წინაშე უსაბუთოა.

ლადო ბზვანელი.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა.

ოსმალეთში მყოფი რუსეთის ელჩი ნ. ვ. ჩარიკოვი სრულიად მოულოდნელად გადააყენეს. ამ ამბავმა ოსმალეთის საპოლიტიკო წრეები ძალიან შეაშფოთა. ამბობენ, რუსეთი პორტის გაჭირვებულ მდგომარეობით ისარგებლებს და იტალიასთან დამეგობრებით შეუდგება საქმესაო. სტამბოლში დიდის ეჭვით ლაპარაკობენ და ძალიან აფიქრებთ რუსეთის ვითომდა ომისათვის იდუმალი მზადება. ჩარიკოვის მაგივრად სტამბოლის ელჩად დანიშნეს გირსი („კავკაზ.“).

პიურ სწავლათ“ ნათლავს. ფედერალიზმს ხომ სრულიად არ იწყნარებს. „ეს მიმართულება (ფედერალიზმი), როგორც მთელი ისტორია ამტკიცებს, განსაკუთრებით შეერებული შტატების და შვეიცარიისა, მეტის მეტად მავნებელია კაცობრიობის წარმატებისათვის და ამ უკანასკნელ საუკუნოებში ყოველი წარმატება, ამ ორ გამოჩენილ რესპუბლიკებში რომ მოხდა, მარტო იმით მოხდა, რომ ცენტრალურმა მმართვამ ცოტ-ცოტათი შეიძინა ძველ დროში დაკარგული ძალა კერძო მაზრებზე. (დროება № 15, 1871 წ. „რა არის კომუნა“). ერთის სიტყვით „დროების“ სიმპატიები საფრანგეთის მუშების მიერ წამოყენებულ კომუნალურ-ფედერალიზმისაკენ არ იყო მიმართული. კომუნალური პრინცი[illegible] უარყოფით, გაზეთი აშკარად [illegible]შორდა რუსეთის რადიკალურ ახალგაზრდობასაც. (გაიხსენეთ გერცენის სათემო მმართველობის პრინციპი). ერთი საფუძველთაგანი მიწის საერთო მფლობელობისა იყო სასოფლო საზოგადოების იურიდიულ პიროვნებად აღიარება. „დროება“ ამ გზას ასცილდა და ამიტომ მისი არტელი და ასოციაცია უნიადაგო დარჩა თეორიულ დასაბუთების მხრივ. ხოლო მისი ცდა „არტელეტის“ დანერგვის საქმეში მაინც ფრიად საყურადღებოა.

მკითხველს ეხსომება წინა წერილებში აღნიშნულ სერგეი მესხის მიერ მეყველეთა ამხანაგობის შესახებ დაწერილი წერილი (1868). ამ წერილმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ტვერის გუბერნიაში, სადაც ვინმე ვერეშჩაგინის ინიციატივით, დაარსდნენ ამგვარი ამხანაგობანი და რამდენიმე ქარხანაც, გაემგზავრა ახალგაზდა ყმაწვილი ნესტორ ახველდიანი. მან იქ დაწვრილებით შეისწავლა, როგორც ორგანიზაცია ამ ამხანაგობათა, ისე თვით ხელობაც ყველის გაკეთებისა. იქიდამ იწერებოდა ნესტორ, ახვლედიანი: „დრომაც მოაწია, რომ ჩვენ ღარიბს საქართველოს გლეხებსაც ეშველოს რამ და იმათშიაც დაარსდეს რამე ამხანაგობა... ნუ დაგვავიწყდება, რომ გლეხების შრომა და ოფლი საზოგადო ბანკია, რომლისაგანაც ყველანი სარგებელს იღებენ. მაშასადამე, უნდა ვეცადოთ, ეს ბანკი არ დაეცეს, თორემ სარგებელს ვერ მივიღებთ. რაღა გლეხებზე ვილაპარაკო! მგონი, ჩვენი მდიდრულ ცხოვრებას მიჩვეულნი მემამულენიც საჭიროებენ ჩქარა მიშველებას, თორემ ხშირად მათი მიწა-წყალიც ისყიდება სხვა და სხვა გვარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. და სხვა (№ 11. 1871). სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ახველდიანი ცდილობს თავისი განზრახვა პრაქტიკულად განახორციელოს. გამგზავრებულა იგი კახეთში. აქ თითქოს მოუგვარებია საქმე მემამულეების დახმარებით. „ამოურჩევიათ საქარხნე ადგილი და გადაუწყვეტიათ მუშაობის დაწყება.“ მაგრამ საქმე ჩაფუშულა. (№ 18, 1872 წ.). კახეთში რომ არა გაკეთდარა, ახლა ქართლში გადავიდა ახვლედიანი. „დროებაში“ ვკითხულობთ: „წელს ქართლში სდგება ყველისა და ერბოს მკეთებელი პატარა საზოგადოება. ქარხნის ხელმძღვანელად უფ. ახვლედიანი იქნება. ბევრის მეცადინეობის და დაბრკოლების შემდეგ უფ. ახვლედიანმა, როგორც იყო, გაარიგა ეს საქმე. თუმცა ჯერ ყველის ქარხანა არ გაუმართავთ. ამ საქმეს არც კი შესდგომიან ჯერ, მაგრამ, როგორც ნამდვილად ვიცით, მკვიდრ საფუძველზედ კი შენდება. (№ 34, 1872 წ.) მკვიდრი საფუძველი იმდენად მკვიდრი ვერ გამომდგარა, რომ ქართველურ საქმიანობის ტვირთის სიმძიმის გამო არ დაბრეულიყო, და საქმე აქაც ჩაფუშა. ერთის სიტყვით, რაღა გაგრძელოთ, სურვილი კარგი იყო, რწმენა დიდი, საქმე კი მაინც არ ხეირობდა. აშკარაა, კულტურული ნიადაგი გვაკლდა და ერთმანეთის ნდობა და პატივისცემაც, რომელიც შედეგია ნორმალურად განვითარებული საზოგადოებრიობისა. დღევანდელ კოოპერატიულ მოძრაობის ზრდას რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ ეს კულტურული ნიადაგი ცოტათ თუ ბევრად შემზადდა ჩვენში და დღეს ჩვენს საქმიანობას თითქმის მეტი ნაყოფი უჩანს. და თუ ეს ასეა, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ იმ პირველ პიონერებისა, რომელნიც, თუმცა დამარცხდნენ, გზა კი გაგვიწალდეს მოქმედებისათვის. კოოპერატიულ მოძრაობას საქართველოშიაც ჰქონია თავისი პატარა ისტორია.

აღსანიშნავი გარემოება ის არის, რომ, იმ დროინდელი სოციალ-პოლიტიკური მცნებანი რომ ვიგულისხმოთ, „ნაროდნიკულ“ სისტემის ტვირთი დიდხანს ველარ ჰზიდა „დროებამ“ და თანდათან დამოუკიდებელ გზაზე დადგომის სურვილს იჩენს. რუსეთში ლიბერალებსა და ნაროდნიკებს მესამოციანებში გაცხარებული შეტაკება ჰქონდათ. თავისუფალი ვაჭრობა, ფულის გამრავლება ბანკებისა და ფინანსიურ ოპერაციების საშუალებით, მიწის სათემო მფლობელობის დარღვევის საჭიროება და სხვა ამგვარი—ამ ნიადაგზე იდგნენ ლიბერალები. თუმცა „დროების“ პოზიცია მსგავსი არ იყო, ხოლო ბანკებს და ფინანსიურ ოპერაციებს იგი მხურვალედ დაებღაუჰა. და როდესაც ჩვენს საზოგადოებაში აღიძრა საკითხი ბანკის დაარსების საჭიროებისა, ორი საზოგადოებრივი ნაკადული შეხვდა ერთმანეთს. ერთის მხრივ, თავად-აზნაურობა იდგა, რომელმაც განიზრახა საადგილ-მამულო ბანკების დაარსება ყმების განთავისუფლებისათვის მიღებულ თანხის საშუალებით. თავად-აზნაურობას სრული იმედი ჰქონდა, რომ ბანკი იხსნის მას მატერიალურ დაქვეითებიდან და შეუნარჩუნებს მამულ-დედულს. მეორეს მხრივ იყო ინტელიგენციის აზრი, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის ფულის დატრიალებას ჩვენს ქვეყანაში. ამასთან მასაც ეგონა, რომ ბანკების საშუალებით შესაძლებელია მემამულეთა მამულების მათ ხელში შენარჩუნება. მათ უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ ის განსაცდელი, რომელიც მოელოდა ქართველ ხალხს თავად-აზნაურობის მამულების გარეშე ელემენტების ხელში გადასვლით. ასე რომ აქ ისინი წოდებრივი თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდნენ. და აი ეს ორი ნაკადული შეხვდა ერთმანეთს და ისევ თანხმობისებური დამოკიდებულება დამყარდა ინტელიგენციასა და თავად-აზნაურობის შორის. ხოლო ახლა უპირატესობა ინტელიგენციის მხარეზე იყო, რადგან ნიჭი, მომზადება და განათლება მათში იყო. თავად-აზნაურობამ ღრმა გავლენა განიცადა ინტელიგენციისა. ხოლო ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ არც ინტელიგენციის ფსიხიკა და აზროვნება დარჩა შეურყეველი და დამოუკიდებელი. ამის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი ბანკის საკითხს დაუბრუნდეთ.

„დროებაში“ ვკითხულობთ: „დ. ყიფიანი მიხვდა იმას, რომ ვალში ჩაცვივნულ კეთილშობილების საქმის გასწორება შეეძლო მხოლოდ ბანკს და ამის გამოისობით იმან შეადგინა წინადვე ბანკის პროექტი, წაუკითხა რამდენჯერმე ძმულების მეპატრონებს და ბოლოს კეთილ-შობილებმა გადაწყვიტეს გადადება ბანკის დაწესებისათვის მეხუთედი წილი ფულებიდან, რომელიც მიეცათ იმათ მის დიდებულებისაგან ყმების განთავისუფლებაში. ძლივს ჩვენც დავესწარით იმ ბედნიერებას, აცხადეს სიხარულს გაზეთი, რომ ქართველებშიაც აღიძრა ბანკის დაარსების მოთხოვნილება... თუ რიგზედ წაიყვანენ საქმეს, მაშინ გაბედვით ვიტყვით, რომ ეს ახოვანი ფონდი ადვილად შეიძლებს ქართველების მატერიალური მხრით შევიწროებიდან გამოიხსნას და გააძლიეროს.“ (№ 44, 1870 წ.) ასე ოპტიმისტურად შეჰყურებს მომავალს გაზეთი. 1872 წელს „დროება“ უპირატესობას აძლევს საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას, „რომელიც ყველა განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია გამოცდილია და განსაკუთრებით ჩვენებური მემამულეებისათვის არის გამოგონილიო.“ (№ 39, 1872 წ.). 1873 წელს ამ საკითხის გამოკვლევაში მხურვალე მონაწილეობას იღებს ნ. სკანდელი (ნიკოლაძე). მსგავსად დ. ყიფიანისა ქუთაისში ბესარიონ ღოღობერიძემ იკისრა ბანკის წესდების შემუშავება. ამისათვის იგი წავიდა პეტერბურგში და იქ თავის ბანკის წესდებას ორი ბანკის წესდება დაუდო საფუძვლად—ხერსონის და ხარკოვის ბანკების საფუძველნი. გარდა ამისა რამდენიმე ადგილი არის შეკეთებული ტფილისის ბანკის წესდების მიხედვით. ბესარიონ ღოღობერიძის ბანკის პროექტის ორი მთავარი საფუძველი ამგვარია: 1) „ჩვენი ქვეყნის გარემოება მოითხოვს, ჩვენ გავმართოთ იმისთანა ბანკი, რომელიც გირაოდ მიწას და საზოგადოდ უძრავ მამულს იღებს. ამ ბანკს ექნება უფლება, გამოსცეს გირაოს ფურცლები. 2) ჩვენი პირველი ზრუნვა უნდა იყოს, გირაოს ფურცლებს კარგი კურსი ანუ მსვლელობა ჰქონდეს. ძათს კარგს ფასზე ჰკიდია ბანკის ბედი. ამისათვის ამ ფურცლების მყიდველებს უნდა მივცეთ, რაც შესაძლებელია, ყოველი გარანტია ან იმედები, რომ ბანკი თავის პირობას მათ აუსრულებს. ამის მეტი კი არ შეგვიძლიან, რომ **ფურცლების შემოსავლის პასუხისმგებელნი იყვნენ ჯერ დაგირავებული მამული, მერმე ბანკის სიმდიდრე და უკანასკნელად დაგირავებულ მამულით საზოგადო თავდებობა.** (ბ. ღოღობერიძის წერილი - მოთხრობა ჩემის „ოინობისა“ № 28, 1873). ვინც ამ წესდების წინააღმდეგი იყო, სახეში ჰქონდა უმთავრესად ხაზგასმული სიტყვები. ამგვარი გარანტია, გარანტიად არ მიაჩნდათ. ნ. სკანდელი ამბობდა. „ჩვენი აზნაურობა მარტო იმიტომ აარსებდა ბანკს, რომ ფულის სესხება შესძლებოდა სულის მოსაბრუნებლად და იმ გაჭირვებაში, რომელიც იმას ეხლა ადგია, მისი მამულები გარეშე პირებს ვალებში არ შერჩენოდა... მაშასადამე, პირველი საჭირო საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ფული გარეშე თანხის პატრონებისაგან ბლომათ დ იაფად გვეშოვნა. **ამისთვის საჭირო იყო აუცილებლად საზოგადოებრივი გარანტია დ არა მარტო დაწინდრებული მამულების ურთიერთი თავდებობა“.** (№ 29, 1873 წ.) თავი დ თავი საკამათო საგანი აქ იყო. „ჩვენი მდგომარეობა და საჭიროება, განაგრძობს სკანდელი, სულ სხვაა და ხერსონის და ხარკოვისა—სულ სხვაა. არც ერთ იმათ ის საჭიროება არ უგვრძნიათ, რომ თავითვე იზრუნონ, ჩვენი მიწა გარეშე პირებს არ ჩაუვარდეს ხელშიო, გაღატაკებული არ დარჩეს ჩვენი ქვეყნის კაციო, პროლეტარიებათ არ გადვიქცეთ სხვისი ფულების გამოისობითო. რითი და როგორი საშუალებით აპირებს უფ. ბ. ღოღობერიძის პროექტი ამ მომავლის თავიდამ აცილებას? თუ არ შემოიტანა მეპატრონემ დროზე ფული, გაიყიდება მისი მამული. და ის იქნება და ისაო. ვინ არ იცის, რომ ეს შემოტანა გაძნელდება ჩვენში? რითი შველის ამ საქმეში „სააზნაურო ბანკი“ ჩვენს აზნაურობას, ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. რა საშუალებებს სძებნის, როგორ წესს აარსებს ისეთს, რომ ჩვენი ქვეყანა ურიებისა და სხვ. ხელში არ ჩავარდეს ამ ოცი—ორმოც-და-ათი წლის შემდეგ? არაფრით, სრულიად არაფრით... ეხლა აზნაურობას ვალს აალებინებს და შემდეგ—მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი გარეშე კაცის მეტი არავინ იქნება. და თქვენ ბძანებთ: ნურაფერს იტყვითო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტკიცდეს და მერე უექიმეთო, ჯერ ყელი გამოიჭრას და მერმე წამალი დაადევითო?.. (ibid).

სრულიად სამართლიანი საკითხი იყო აღძრული ნ. სკანდელის მიერ. კამათი აქ არა თავდება. 1875 წელს არსდება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკი. ამ კამათში ილია ჭავჭავაძეც გაერევა და საკითხი უფრო ნათლად გამოირკვევა. ქვემოდ ჩვენ ამ კამათსაც გავაცნობთ მკითხველს.

ახლა კი ისევ ცოტა უკან დავბრუნდეთ და ვნახოთ, გამოიღო ფესვი თუ არა ჩვენი კულტურის ყანაზე მესამოციანების მიერ ჩაყრილმა თესლმა? ხელოვნება, სალიტერატურო კრიტიკა, ქალთა საკითხი და სხვა—ყოველივე ამ საკითხებით იმ თავითვე იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი მოღვაწენი. საინტერესოა ამ საგნების უფრო ზედ მიწევნით განხილვა. მესამოციანთა ეპოქა მით არის მდიდარი, რთული და ჭკვის მასწავლებელი, რომ აქ იკვანძება კვანძი ჩვენი კულტურის აღორძინებისა. საზოგადოებრივი მოღვაწეობის და აზროვნების პირველ ნაბიჯებს, ხელოვნების გაფურჩქვნას და სალიტერატურო კრიტიკის გაჩენას—ყველა ამას აქ, ამ დიდ მაცოცხლებელ წყაროში აქვს სათავე. და ისევ ამ სათავეს გადავხედოთ.

არჩილ ჯორჯაძე.

პორტა რუსეთის მთავრობას შეეკითხა ამიერ-კავკასიაში, ოსმალეთის საზღვარზე, ჯარის მოძრაობის თაობაზე. რუსეთმა უპასუხა, ალლუმები მაქვს და საცდელ მობილიზაციას ვმართავო. („ზაკ. რეჩ.“).

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

პეკინი. ნანკინის ეროვნულმა კრებამ ტანშაის მინისტრმა საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა დაამტკიცა. ტანშაი გაემგზავრა ტიანძინში, შანხაიში და ნანკინში და ორი კვირის შემდეგ დაბრუნდება,

მუკდენი. პეკინიდან ბრძანება მოვიდა, რომელთაც „უდრეველთა“ საზოგადოების მოქმედება აკრძალულია. იუანშიკაიმ ჩჟაოერსიუნს დაწვრილებითი ცნობა მოსთხოვა საზოგადოების მოწყობისა და მეთაურების შესხებ.

ჩიფუ. შანდუნის რევოლუციონერები უკმაყოფილონი არიან ცზინანფუს გუბერნატორით და იუანშიკაის სთხოვენ მის გადაყენებას.

გაზეთებიდან.

მონარქიის აღდგენის შიში.

ჩინეთიდან იუწყებიან, იუანშიკაი არეულობის მომხდენთ რომ ებრძვის, უმთავრესად მანჯურთა ჯარის იმედი აქვს, იგი კი დინასტიის ერთგულია. ამიტომ ეშინიათ, ვაი თუ საქმე სხვანაირად დატრიალდესო.

იუანშიკაის უთქვამს სამხრეთ ჩინეთის წარმომადგენლებისათვის:

— ჩინეთს ძლიერი მთავრობა ეჭირვება. რესპუბლიკა მხოლოდ კარეგანი მხარე, ეტიკეტი იქნება, თუ საქმე სხვანაირად წავიდა, ჩინეთი დანაწილდება და დაიღუპებაო.

ამ სიტყვებმა რესპუბლიკის მომხრეებში დიდი უნდობლობა აღძრა. ჩინეთის გაზეთები სწუხან, სუნიათზენმა რად დაანება თავი პრეზიდენტობასაო და მის ხელ-მეორედ არჩევას ჰლამობენ.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თავრიზი. არდებილის ოლქში, რაკიჩამათმა, ხელ ახლად დაიწყო შაჰსევანთა ტომების თარეში.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

სტამბოლი. „ტანი“ იტალიის წინადადებას მიღებულად სთვლის და შუამავალ-სახელმწიფოებს ურჩევს ნუ გადასცემთ მას ოსმალეთის მთავრობასაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 მარტი.

საზღვარ-გარედ.

გაფიცვები.

ბოხუმი. მთა-მადანთა მუშების სამ კავშირის კრებას მხოლოდ 2000 კაცი დაესწრო, რაიც გაფიცვაზე გულის აყრას მოასწავებს. გაფიცულნი ცუდ გუნებაზე არიან. რეიჰსტაგის დეპუტატს ზაკს საკმაოდ მიაჩნია ჯერჯერობით ხელფასისათვის 10% მომატება და 19 მარტს კიდევ 5%-სა.

განნოვერი. დეისტერის ოლქის მაღაროს მუშები გაიფიცნენ, რადგანაც ხელფასის 15 პროც. არ მოუმატეს. 2300 მუშისაგან ნახევარზე მეტი გაფიცვას მიემხრო.

ბიუკქებურგი. შაუმბურგ ლიპპეს სამთავროს სამთო მრეწველობის მუშებმა დაადგინეს, 6 მარტს გაფიცვა გამოაცხადონ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ასკვიტმა განაცხადა: ექვს მარტს კანონ-პროექტს შემოვიტანთ მაღაროს მუშათა ხელფასის მინიმუმის შესახებაო. მთავრობის აზრით პალატა შეუფერებლად მიიღებს ბილს; შემდეგ ბილი ლორდთა პალატაში იქნება შეტანილი და 10 მარტს მეფისაგან დამტკიცებულიო.

ბერლინი. გაფიცულთა რიცხვი ყოველ-დღე მცირდება. დორტმუნდში ოფიციალურ ცნობით 5 მარტს 10,000 კაცი ნაკლები იყო გაფიცული, ვიდრე 3 მარტს. ციკკაუში საქსონიის მაღაროებში მუშათა 40% გაფიცულია.

ლონდონი. 1000 შოფერი გაიფიცა ავტომობილების პატრონთა მიერ პირობების დარღვევის გამო.

ტოკიო. 30,000 მუშა გაფიცვის გამოცხადებას აპირებს საქველმოქმედო გადასახადთა შემოღების წინააღმდეგ პროტესტის გამოსათქმელად.

ქალთა უფლებების დამცველთა კრება

ვენა. გერმანელთა, პოლონელთა და სლოვანელთა კომიტეტების თანადასწრებით შესდგა ავსტრიელ ქალთა უფლების დამცველთა პირველი კრება.

რუსეთი

გაერთიანებულ თავად-აზნაურობის კრება.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრის გრაფ ბობრინსკის თავმჯდომარეობით გაერთიანებულ თავად-აზნაურობის კრება დაიწყო.

აფეთქების მსხვერპლნი.

ტაგანროგი. უკანასკნელის ცნობით, მაღარო „იტალიანკაში“ 51 კაცი დაღუპულა. გადარჩენილთაგან 4 კაცი გარდაიცვალა; 13 კაცი დაშავებულია.

რედაქტორის დაპატიმრება.

მოწინავე წერილისათვის „გროზა“-ს რედაქტორი სამი თვით დააპატიმრეს.

4 ოსმალოს მოკვლა.

დონის-როსტოვი. ბოროტ-მოქმედთ გაძარცვის განზრახვით 4 ოსმალო მოჰკლეს.

ოსმალეთის მთავრობის განცხადება.

პეტერბურგი. ოსმალეთის მთავრობა უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც მას სპარსეთ-რუსეთის საზღვართან ჯარი გაეძლიერებინოს

ფინლანდიელ პარტიათა პეტიცია.

ჰელსინგფორსი. სეიმის კანცელარიაში შვედებისა, ახალგაზდა-ფინებისა და აგრარიულმა პარტიებმა პეტიცია წარადგინეს, რომელიც მოითხოვს, რომ ფინლანდიის ძირითადი საკანონ-მდებლო, საადმინისტრაციო და მართვა-გამგეობის კანონები დამოუკიდებლად დასტოვონ.

რუსეთი

დეპუტატის სიტყვის თავისუფლება.

სათათბიროს წევრმა **კუზნეცოვმა** განმარტება წარადგინა სახელმწიფო საბჭოში გოლოლობოვის საჩივრის გამო. დეპუტატი განმარტებაში სახელმწიფო სათათბიროს დაფუძნების მე-14 მუხლს ემყარება და აცხადებს: როგორც დეპუტატი, მე ვსარგებლობ სიტყვის თავისუფლებით და მოვალე არა ვარ ვინმეს ანგარიში წარუდგინო სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვების გამო.

ხმები საზონოვის მინისტრობიდან გადადგომისა.

ხმები გავრცელდა, გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი თავს ანებებსო. კანდიტატად ასახელებენ ბელგრადში მყოფ რუსეთის ელჩს გარტვიგს და იაპონიაში მყოფ ელჩს მალევსკი მალევიჩს ასახელებენ.

ჩარიკოვის გადაყენება.

სტამბოლში მყოფ რუსეთის ელჩის ჩარიკოვის გადაყენება და სენატორად დანიშვნა ყველასთვის მოულოდნელი იყო.

ელჩის გადაყენებას მის დამოუკიდებელ მოქმედებას სთვლიან, მაგალითად ჩარიკოვმა ოსმალეთის დიდვეზირთან, გარეშე საქმეთა სამინისტროს დაუკითხავად, დაიწყო მოლაპარაკება სრუტეებში ხომალდების თავისუფალ მიმოსვლის თაობაზე: გარდა ამისა ამბობენ, როდესაც ჩარიკოვმა გაილაშქრა სახელმწიფოთა კოლექტიურ წინადადების წინააღმდეგ ოსმალეთში ომის დაცხრობის შესახებ, ამ ნაბიჯმა ჩარიკოვის დათხოვნის საკითხი პირდაპირ დააყენაო.

ღია წერილი ბ. არჩილ ჯორჯაძის მიმართ.

„სახალხო გაზეთის“ (№ 542) თქვენს წერილში „თავად-აზნაურთა საქმეების გამო“ სხვათა შორის ჩემს საზოგადო მოღვაწეობასაც ეხებით და ბრძანებთ: „ან ვის არ მოუსმენია მიხ. მაჩაბლის ფილიპიკები ქართულ პრესის წინააღმდეგ ქართული პრესა და ლიტერატურა მოისპო და აღარ არსებობსო. ან ვის არ ახსოვს ის თავსლაფი, რომელიც გადაგვასხა იგივე მიხ. მაჩაბელმა ქალ. პეტერბურგში რომ წაბძანდა დეპუტატის ასარჩევად და იქ მარკოზს რომ არწმუნებდა, შიში ნუ გაქვთ, ილია ჭავჭავაძე სწორეთ თქვენი აზროვნებისა იყო და აბა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ როგორ გაილაშქრებდაო და სხვა და სხვა და სხვა.“

უმორჩილესად გთხოვთ დამიმტკიცოთ აქ ნაბრძანების ჭეშმარიტება; და რადგან დარწმუნებული გახლავართ, რომ ამ საზიზღრობის მოქმედებას და „სხვა და სხვა“... ამ გვარს ვერც თქვენ და ვერც ვერავინ ვერ დამიმტკიცებს ჩემის ნაწერებით, ნათქვამით ანუ ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობით, უმორჩილესად გთხოვთ როგორც პატიოსანს კაცს ამ შეცდომას აღიარებთ და ჩემ წინაშე ბოდიშს მოიხდით.

იმედი მაქვს, ორი კვირა საკმარისია, რომ დასამტკიცებელი საბუთები ხელთ იგდოთ და „სახალხო გაზეთითვე“ მკითხველს აცნობოთ.

მ. ვ. მაჩაბელი.

თ-დ მ. ვ. მაჩაბლის წერილს უცვლელად ვბეჭდავთ და საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ ავტორს, რომ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე ეხლა ცოტა შეუძლოთ არის, ამისამო თ-დ მ. ვ. მაჩაბლის სურვილს ამ ორიოდე დღეში აღასრულებს.

რედაქცია.

თეატრი და ხელოვნება

ნაძალადევის თეატრი. კვირას 4 მარტს ნაძალადევის ს. ს. წრემ მსახიობ მ. საფაროვ-აბაშიძისა სადღესასწაულოდ, გამართა წარმოდგენა; პირველად წარმოადგინეს ორმოქმედებიანი კომედია „პარიზელი ბიჭი“ თარ. ჯორჯაძისა და „ბაიყუში“ ცაგარლისა. მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. ბ. მ. საფაროვ-აბაშიძისა ქ. ჩიქოვანი ბ. ბ. კ. ყიფიანი ს. სვიმონიძე და დანარჩენი სცენის მოყვარეები. პარიზელი ბიჭის შემდეგ გაიმართა მ. საფაროვ-აბაშიძის პატივისაცემლად მილოცვები. სიტყვა წარმოსთქვა თეატრის გამგეობის სახელით ბ. იასონ ფანიაშვილმა ბ. გ. ჩარკვიანმა, რეჟისორმა ბ. ს. სვიმონიძემ და მოწაფე მ. ხერხეულიძემ. „პარიზელი ბიჭის“ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შემდეგ წარმოადგინეს „ბაიყუში“ კარქები იყვნენ ქ. ბ. ჩიქოვანისა თალიკოს როლში ქ-ს. გოგაშვილისა (ელისაბედის როლში) არაუშავდა ბ. სვანიძეს (რევაზ თავქარიანის როლში) ბ. სადუნის შვილმა მეტის მეტად გადააჭარბა გასპარას როლში. ხალხი წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო. **კლდე.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ 3 თებერვალს 1912 წ. ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის სასარგებლოდ გამართულ „სამასკარადო საღამოს“ ანგარიში:

შემოსავალი: ბილეთები და შემოწირულება—226 მან. 60 კაპ. ბუფეტიდამ და ვახშმიდამ 282 მ. 66½ კაპ. კიდევ შემოწირულება 29 მან. **სულ 538 მან. 26½ კაპ.**

ხარჯი: მარკები—15 მან. ნებართვის თხოვნა 1 მ. 71 კ. დეპეშა—1 მ. 63 კ. აფიშა და ბილეთები 6 მ. 50 კ. მუსიკა 25 მან. კლუბის ქირა 20. მან. პოლიციელებს—1. მ. 50 კ., ბუფეტების მოწყობაზე და ვახშმზე დაიხარჯა 132 მან. 46 კაპ. **სულ 203 მან. 80 კაპ.**

წმინდა დარჩა 334 მანეთი 49½ კაპ.

ფულად შემოსწირეს: თავ. დ. ი. მაყაშვილმა 30 მან., ექიმ ბაღდოევა 3 მ., კნ. აბაშიძისამ 2 მ. 20 კ., თავ. ს. ანდრონიკაშვილმა 2 მ. 20 კ. კნ. ფ. მაყაშვილისამ 2 მ., ი. ბარკალაიამ 1 მ. 90 კ., ალ. მათურელმა 1 მ. 20 კ. **თითო მანეთი და 10 კაპ.** ან. კახიძისამ, ვ. პაატაშვილმა, თ. ყაზახაშვილისამ, თავ. ერ. ჯორჯაძემ და ვ. ბერეჟიანმა. **თითო მანეთი:** ს. ლომიძისამ, ი. ლომიძემ და ნ. ვერნიგორამ.

სანოვაგე შემოსწირეს. კახეთის ამხ. „კახეთიამ“, კნ. ნ. ვახვახიშვილისამ, კნ. ქ. რუსიშვილისამ, კნ. ნ. ერისთავისამ, კნ. ან. ვახვახიშვილისამ, თავ. იოს. და ს. ქობულიშვილებმა, ი. მელვინეთხუცესოვმა, თავ. ა. ავალიშვილმა, ს. აბელიშვილმა, ლ. მურთაზაშვილმა, ალ. ანდრონიკაშვილმა და თავ. ალ. ციციშვილმა.

წ. კ. საზ. გამგეობის სახელით და ჩემის მხრივ მადლობას ვუძღვნი ზემოდასახელებულ შემომწირველთ, თავ. ნუგზარ ერისთავს ვახშმის სამზადისის მეთაურობისთვის, თელ. საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს დარბაზის ნახევარ ფასად დათმობისათვის, ბ-ნ ჩერნოვს ცოცხალი ყვავილების შემოწირვისათვის და ყველა იმ პირთ, ვინც ამ საღამოს გამართვაში რაიმე მონაწილეობა მიიღო და თავის დასწრებით დახმარება აღმოუჩინა წ. კ. გამ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლას.

საღამოს დიასახლისი, წ. კ. საზ. თელავის განყ.
გამგ. წევრი კნ. თ.
ალ. აბაშიძისა.
ხაზინადარი ვ. პაატაშვილი.

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც ს. გუბის **აკაკის** სახელობის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს თავ-თავიანთი წვლილი.

გიორგი ალექსანდრეს ძე კილიისკიმ ვივესკა ღირებული 10 მან. და 10 მ. 59 კ. წიგნები, სულ 20—59 კ. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებამ წიგნები 10 მანეთის. შალვა წერეთელმა წიგნები 7—54 კ. ვერა წერეთლისამ 70 კაპ. წიგნები. მიხაკო სვანიძემ შპალიერი უფასოდ გაგვიკრა. მელისადექ ქოლაძემ ორი სკამი, ღირებული 1—50 კაპ. დავით წერეთელმა საანგარიშო დავთარი ღირ. 2—50 კ.

ს. გუბის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს მზრუნველი კომ. წევრთა მინდობილობით კომ. წევრი **ვლადიმერ მოსეშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება

1911 წლიდან ტფილისში შესდგა ამხანაგობა, რომელიც ამზადებდა კვასს ფირმა—„გემო“-თი. ამხანაგობაში შედიოდნენ დ. ჭელიძე, მ. ფირცხალაიშვილი, მ. გორგილაძე, ს. სვანიძე და ი. მჭედლიშვილი. მათ შორის უთანხმოების გამო, წარმოება დროებით შესწყდა და ამხანაგობიდან გავიდა მათე გორგილაძე, რომელმაც გამოიწვია ჭელიძე და ფირცხალაიშვილი სამედიატორო სამართალში და მოითხოვა ფირმა „გემო“ მას დარჩენოდა. მედიატორებმა განვიხილეთ. რა ყველა საბუთები გამოვიტანეთ შემდეგი განაჩენი:

„ამხანაგობა არ დაშლილა, ხოლო მათე გორგილაძე ამხანაგობის მიზეზით შეცდომაში შესულა და ამხანაგობიდან გაუტანია თავისი წილი. ამიტომ მათე გორგილაძეს უფლება ეძლევა დაუბრუნდეს ამხანაგობას, რომელიც განაგრძობს წარმოებას ფირმა „გემო“-თი. უკეთუ ამხანაგები ვერ შეთანხმდებიან, იმ შემთხვევაში ფირმა „გემო“ უნდა შეისყიდოს ერთ-ერთმა მხარემ ურთიერთ შეთანხმებით.

თავმჯდომარე **ა. დ—ძე.** მედიატორენი: **პ. კ—ძე, ი. ც—ძე, ს. ი—ლი, ა. ც—ძე.**

(1.28 .1)

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № , I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, I—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0. I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

განცხადებანი

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგი შრომა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—1)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი [illegible]
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.30)

ახლად მივიღეთ აუარებელი შიგრჩეული **თეთრეული**
მამაკაცთა სახიანი და თეთრი პერანგები დამზადებული მამაკაცთა საუცხოო და ქალთა **მოდური** საგალანტერიო საქონელი
შლიაპები (Goppev!) მამაკაცებისათვის წავის მატყლის (კასტორისა) უკანასკნელ ფასონისა

◆ ◆ ◆

ა. კ. ცუკასიანის
მაღაზია
გოლოვინის პროსპექტი № 18, სახაზინო თეატრის პირდაპირ.
(6—1147—1)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—8)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა სად. სკრაში

კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсарквсову.

ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 წ. **მოსკოვში** გამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოების საიუბილეო გამოფენაზე. და **ოქროს დიდ მენდლით ტფილისში** პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე.
(6 -1120—4)

სნეულთა

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ ულონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ჭლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ძვირი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზეოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა**, ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი“**.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“**-ს დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ. Проф ессоръ Докторъ ПЕЛЬ и С вя.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
Метцль и К-о. № 1277.

(12.1002.7)

საყურადღებოდ

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.